

# საქართველო 2018


ოჯახის დაგეგმვა და ინფორმირებული/  
ნებაყოფლობითი გადაწყვეტილება




მრავალინდიკატორული  
კლასტერული კვლევა



## შვილების სასურველი რაოდენობა ცოცხალი შვილების რაოდენობის მიხედვით




## შვილების სასურველი საშუალო რაოდენობა პირველი შვილის გაჩენამდე



15-49 წლის ქალების პროცენტული განაწილება პირველი შვილის გაჩენამდე მთელი ცხოვრების განმავლობაში შვილების სასურველი რაოდენობისა და ცოცხალი შვილების რაოდენობის მიხედვით


15-49 წლის ქალებში შვილების სასურველი საშუალო რაოდენობა პირველი შვილის გაჩენამდე

## ადრეული შვილოსნობა 15-19 წლის ქალებში




15-19 წლის ქალების პროცენტული წილი, რომელთაც ჰქონდათ ცოცხლადშობადობა ან არიან ორსულად პირველ ბავშვზე  
\*მონაცემები სომეხი და აზერბაიჯანელი ეროვნებების შესახებ ეფუძნება 25-49 შეუწონავ დაკვირვებას.

## ადრეული შვილოსნობა - 18 წლის ასაკისთვის



20-24 წლის ქალების პროცენტული წილი, რომელთაც ჰქონდათ ცოცხლადშობადობა 18 წლამდე სხვადასხვა მახასიათებლების მიხედვით  
 \*მონაცემები სომეხი და აზერბაიჯანელი ეროვნებების შესახებ ეფუძნება 25-49 შეუწონავ დაკვირვებას.


## ადრეული შვილოსნობის ტენდენციები - 18 წლის ასაკისთვის



20-49 წლის ქალების პროცენტული წილი, რომელთაც ჰქონდათ ცოცხლადშობადობა 18 წლამდე


## ოჯახის დაგეგმვა

### ოჯახის დაგეგმვის მეთოდი სხვადასხვა მახასიათებლების მიხედვით




15-49 წლის ქალების პროცენტული წილი, რომლებიც იყენებენ (ან რომელთა პარტნიორებიც იყენებენ) კონტრაცეფციის მეთოდს  
 \*თანამედროვე მეთოდებში შედის ქალისა და მამაკაცის სტერილიზაცია, საშვილოსნოს შიგა სპირალი, ინექციები, იმპლანტები, აბები, მამაკაცისა და ქალის პრეზერვატივი, დიაფრაგმა, ქაფი, გელი და სანთლები;  
 ტრადიციულ მეთოდებში შედის პერიოდული თავშეკავება/ციკლური მეთოდი, არასრული (შეწყვეტილი) სქესობრივი აქტი და სხვა მეთოდები.

## ინფორმირებულობა თანამედროვე კონტრაცეპტივების შესახებ




15-49 წლის ქალების პროცენტული წილი, რომელთაც სმენიათ კონტრაცეფციის ნებისმიერი თანამედროვე მეთოდის შესახებ სხვადასხვა მახასიათებლების მიხედვით

## ინფორმირებულობა ტრადიციული კონტრაცეპტივების ეფექტურობის შესახებ




15-49 წლის ქალების პროცენტული წილი, რომელთაც კონტრაცეფციის ნებისმიერი ტრადიციული მეთოდი მიიჩნევენ ეფექტურად სხვადასხვა მახასიათებლების მიხედვით

## ინფორმირებულობა კონტრაცეპტივების შესახებ (ქალები)




15-49 წლის ქალების პროცენტული წილი, რომელთაც სმენიათ კონტრაცეფციის ნებისმიერი მეთოდის შესახებ

## კონტრაცეპტივების გამოყენება (ამჟამად დაქორწინებული/პარტნიორთან მცხოვრები)




15-49 წლის ქალების პროცენტული განაწილება, რომლებიც იყენებენ (ან რომელთა პარტნიორებიც იყენებენ) კონტრაცეფციის მეთოდს

## ინფორმირებულობა კონტრაცეპტივების ეფექტურობის შესახებ (ქალები)




15-49 წლის ქალების პროცენტული განაწილება, რომელთაც სხვადასხვა კონტრაცეფციის მეთოდი მიიჩნიეს ყველაზე ეფექტურად

## ოჯახის დაგეგმვის საშუალებებზე დაუკმაყოფილებელი მოთხოვნა




ამჟამად დაქორწინებული ან პარტნიორთან მცხოვრები 15-49 წლის ქალების პროცენტული წილი, რომელთაც აქვთ ოჯახის დაგეგმვის საშუალებებზე დაუკმაყოფილებელი მოთხოვნა სხვადასხვა მახასიათებლების მიხედვით

## ოჯახის დაგეგმვის საშუალებებზე დაუკმაყოფილებელი მოთხოვნა ასაკის მიხედვით




ამჟამად დაქორწინებული ან პარტნიორთან მცხოვრები 15-49 წლის ქალების პროცენტული წილი, რომელთაც აქვთ ოჯახის დაგეგმვის საშუალებებზე დაუკმაყოფილებელი მოთხოვნა ორსულობის შეზღუდვის ან მისი გადავადების მიზნით სხვადასხვა მახასიათებლების მიხედვით

## მთლიანი მოთხოვნა ოჯახის დაგეგმვაზე




ამჟამად დაქორწინებული ან პარტნიორთან მცხოვრები 15-49 წლის ქალების პროცენტული წილი, რომელთაც აქვთ მოთხოვნა ოჯახის დაგეგმვაზე (ეს არის ოჯახის დაგეგმვის საშუალებებზე დაუკმაყოფილებელი და დაუკმაყოფილებელი მოთხოვნის ჯამი) სხვადასხვა მახასიათებლების მიხედვით

## ოჯახის დაგეგმვის საშუალებებზე დაუკმაყოფილებელი მოთხოვნა




ამჟამად დაქორწინებული ან პარტნიორთან მცხოვრები 15-49 წლის ქალების პროცენტული წილი, რომელთაც აქვთ ოჯახის დაგეგმვის საშუალებებზე დაუკმაყოფილებელი მოთხოვნა (ამჟამად იყენებენ კონტრაცეფციას) სხვადასხვა მახასიათებლების მიხედვით

## ოჯახის დაგეგმვის საშუალებებზე დაუკმაყოფილებელი მოთხოვნა ასაკის მიხედვით



ამჟამად დაქორწინებული ან პარტნიორთან მცხოვრები 15-49 წლის ქალების პროცენტული წილი, რომელთაც აქვთ ოჯახის დაგეგმვის საშუალებებზე დაუკმაყოფილებელი მოთხოვნა (ამჟამად იყენებენ კონტრაცეფციას) ორსულობის შეზღუდვის ან მისი გადავადების მიზნით სხვადასხვა მახასიათებლების მიხედვით


# ქალების წილი, რომელთა მოთხოვნაც ოჯახის დაგეგმვაზე დაკმაყოფილებულია თანამედროვე მეთოდებით



\*მონაცემი 15-19 წლის ასაკობრივი ჯგუფის შესახებ ეფუძნება 25-49 შეუწონავ დაკვირვებას.


ოჯახის დაგეგმვაზე მოთხოვნის წილი, რომელიც დაკმაყოფილებულია თანამედროვე მეთოდებით, მნიშვნელოვანი მაჩვენებელია ოჯახის დაგეგმვის პროგრამებითა და მომსახურებით მოსახლეობის მოცვის საერთო სურათის შესაფასებლად. ორსულობის თავიდან აცილების ეფექტურ საშუალებებზე წვდომა და მათი გამოყენება ქალებსა და მათ პარტნიორებს ეხმარება რეპროდუქციული უფლებების რეალიზებაში, რაც ხელს უწყობს შვილების სასურველი რაოდენობისა და ორსულობებს შორის ინტერვალის თავისუფლად და პასუხისმგებლობით დაგეგმვას; ასევე ხელს უწყობს მათ ინფორმირებულობას, განათლებასა და საშუალებების ქონას აღნიშნულის მისაღწევად. აღსანიშნავია, რომ არასასურველი ორსულობებისა და ორსულობებს შორის მცირე პერიოდების თავიდან აცილება, დედისა და ბავშვის უკეთეს ჯანმრთელობას განაპირობებს, რაც ოჯახის დაგეგმვაზე საჭიროების თანამედროვე მეთოდებით დაკმაყოფილების შედეგია. ხოლო აღნიშნული საჭიროების დაუკმაყოფილებლობა და შედეგად არასასურველი ორსულობები და ორსულობებს შორის მცირე პერიოდები დიდ რისკს უქმნის ქალების რეპროდუქციულ ჯანმრთელობას.

## ინფორმირებული/ ნებაყოფლობითი გადაწყვეტილება რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ - SDG მაჩვენებელი 5.6.1



ამჟამად დაქორწინებული ან პარტნიორთან მცხოვრები 15-49 წლის ქალების პროცენტული წილი, რომლებიც თავად იღებენ ინფორმირებულ გადაწყვეტილებას საკუთარი სექსუალური ურთიერთობების, კონტრაცეპტივების გამოყენებისა და ჯანმრთელობის შესახებ

## ქმართან/პარტნიორთან სექსობრივ აქტზე გადაწყვეტილება



ამჟამად დაქორწინებული ან პარტნიორთან მცხოვრები 15-49 წლის ქალების პროცენტული წილი, რომელთაც შეუძლიათ უარი უთხრან ქმარს/ პარტნიორს, თუ თავად არ სურთ, ჰქონდეთ სექსობრივი აქტი.

15-49 წლის ქალების პროცენტული წილი, რომლებიც თვითონ იღებენ ინფორმირებულ გადაწყვეტილებას სექსუალური ურთიერთობების, კონტრაცეპტივების გამოყენებისა და ჯანმრთელობის შესახებ (SDG მაჩვენებელი 5.6.1) მნიშვნელოვანი მაჩვენებელია ოჯახის დაგეგმვისა და რეპროდუქციული უფლებების რეალიზების საერთო სურათის შესაფასებლად. ქალებისა და გოგონების მიერ საკუთარი ძირითადი უფლებების, მათ შორის სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობასთან დაკავშირებული უფლებების რეალიზების შესაძლებლობა მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის წინაპირობას წარმოადგენს. ქალებსა და გოგონებს, რომელთაც აქვთ არჩევანის შესაძლებლობა და აკონტროლებენ საკუთარ რეპროდუქციულ ცხოვრებას, ხარისხიანი განათლების მიღებისა და ღირსეულ სამუშაოზე დასაქმების უკეთესი შესაძლებლობა აქვთ. ასევე მათ უკეთ შეუძლიათ მიიღონ თავისუფალი და ინფორმირებული გადაწყვეტილებები საკუთარი ცხოვრების შესახებ.

SDG მაჩვენებელი 5.6.1 ითვლება შემდეგი სამი კითხვის პასუხებიდან: ქალი მიიჩნევს, რომ დამოუკიდებელია რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებში და უფლებამოსილია, რეალიზება მოახდინოს თავისი რეპროდუქციული უფლებების თუ: შეუძლია უარი უთხრას თავის ქმარს/პარტნიორს, თუ თავად არ სურს, ჰქონდეს სექსობრივი აქტი; ასევე თვითონ ან ქმართან/პარტნიორთან ერთად იღებს გადაწყვეტილებას კონტრაცეპტივების გამოყენებაზე/არ გამოყენებისა და ჯანმრთელობის შესახებ. მხოლოდ ის ქალები, რომლებმაც უპასუხეს „დიახ“ სამივე კომპონენტზე, მიიჩნევიან ქალებად, რომლებიც თვითონ იღებენ გადაწყვეტილებებს სექსუალურ ურთიერთობებთან და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებით.

# რეგიონული მონაცემები ოჯახის დაგეგმვასა და ინფორმირებულ/ ნებაყოფლობით გადაწყვეტილებაზე

რეგიონი	შვილსობა 18 წლამდე*	ინფორმირებულობა ნებისმიერი კონტრაცეპტივის შესახებ	ინფორმირებულობა კონტრაცეპტივის ეფექტურობის შესახებ**	თანამედროვე კონტრაცეპტივის გამოყენება დაქორწინებულ/ პარტნიორთან მცხოვრებ ქალებში	ნებისმიერი კონტრაცეპტივის გამოყენება დაქორწინებულ/ პარტნიორთან მცხოვრებ ქალებში	დაქორწინებული/ პარტნიორთან მცხოვრები ქალების მოთხოვნა ოჯახის დაგეგმვაზე დაკმაყოფილებული თანამედროვე მეთოდებით	შვილების სასურველი საშუალო რაოდენობა პირველი შვილის გაჩენამდე
საქართველო	6	98	74	33	41	51	2.8
თბილისი	1	100	81	39	47	57	2.8
აჭარის ა.რ.	3	95	71	26	31	45	2.8
გურია	7	99	76	25	35	43	2.8
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	8	98	73	32	36	55	2.9
კახეთი	23	99	71	32	41	49	2.9
მცხეთა-მთიანეთი	6	99	75	27	40	44	2.9
სამეგრელო-ზემო სვანეთი	10	99	70	32	37	52	2.6
სამცხე-ჯავახეთი	2	95	51	18	21	33	2.7
ქვემო ქართლი	10	97	63	26	43	41	2.8
შიდა ქართლი	16	97	72	38	49	55	2.7

\*20-24 წლის ქალების პროცენტული წილი, რომელთაც ჰქონდათ ცოცხალდშობადობა 18 წლამდე

\*\*15-49 წლის ქალების პროცენტული წილი, რომელთაც კონტრაცეპციის ნებისმიერი თანამედროვე მეთოდი მიიჩნეოდა ყველაზე ეფექტურად

## საკვანძო გზავნილები

- 15-19 წლის ქალების ყველაზე მაღალი პროცენტული წილი, რომელთაც ჰქონდათ ცოცხალდშობადობა ან იყვნენ ორსულად პირველ ბავშვზე, დაფიქსირდა კეთილდღეობის ინდექსის უღარიბეს კვინტილში - 18%, მაშინ როცა ქვეყნის დონეზე ეს მაჩვენებელი 8%-ს შეადგენს.
- ოჯახური მდგომარეობის, დასახლების ტიპის, ასაკისა და განათლების მიუხედავად თითქმის ყველა რესპონდენტს (98%) სმენია მინიმუმ ერთი თანამედროვე კონტრაცეპციის მეთოდი - განსაკუთრებით კი პრეზერვატივის, აბებისა და სანაწილის შიგნითადაც შესახებ.
- საერთო ჯამში, ქალების 7%-მა დაასახელა ტრადიციული კონტრაცეპტიული ყველაზე ეფექტურ მეთოდად. ტრადიციული მეთოდების ეფექტურობისადმი მაღალი რწმენა ყველაზე მეტად გავრცელებულია ეთნიკურად აზერბაიჯანულ ქალებში (17%); ასევე მათ შორის, ვინც კეთილდღეობის ინდექსის უღარიბეს კვინტილს მიეკითხვნენ (9%).
- თითოეული კონტრაცეპციის მეთოდის შემთხვევაში მნიშვნელოვანი სხვაობა მეთოდის არსებობის შესახებ ინფორმირებულობასა და მისი ეფექტურობის შესახებ ცოდნას შორის. მეთოდის საიმედოობის შესახებ წარმოდგენები აღრულებულია და სერიოზული გაურკვევლობა

არსებობს, რის გამოც აბორტებისა და დაუგეგმავი ორსულობის რაოდენობა იზრდება. კონტრაცეპციის გავრცელების მაჩვენებელი დაქორწინებულ ქალებში 41%-ია. როგორც მოსალოდნელი იყო, ქალაქად მცხოვრები ქალები სოფლად მცხოვრებ ქალებთან შედარებით უფრო მეტად იყენებდნენ კონტრაცეპტივებს (შესაბამისად, 45% და 34%). ქალაქის ტიპის დასახლებებში კონტრაცეპციის ყველაზე გავრცელებული მეთოდი იყო პრეზერვატივი და სოფლად მისი გამოყენების მაჩვენებელს დაახლოებით 3-ჯერ აღემატებოდა. ამჟამად კონტრაცეპტივების მომხმარებლებს შორის (41%), 8% იყენებს ტრადიციულ მეთოდებს, რომელთა არასაიმედოობის მაჩვენებელი მაღალია და შედეგად სახეზეა აბორტები. როდესაც ეს ქალები ემატება კონტრაცეპციაზე დაუკმაყოფილებელი მოთხოვნის მქონე ჯგუფს (23%), მთლიანად დაუკმაყოფილებელი მოთხოვნა 31%-ს აღწევს, რაც ყველა დაქორწინებული ქალის თითქმის მესამედს შეადგენს.

კონტრაცეპციაზე დაუკმაყოფილებელი მოთხოვნა იზრდება განათლების დაბალ დონესთან და კეთილდღეობის ინდექსის უფრო დაბალ კვინტილთან ერთად, ასევე სოფლის

ტიპის დასახლებებში. კონტრაცეპციაზე დაუკმაყოფილებელი მოთხოვნებიდან მეტი წილი მოდის ორსულობის შეზღუდვაზე მის გადავადებასთან შედარებით, დაახლოებით 2:1 თანაფარდობით.

დაქორწინებული ქალების თითქმის ორ მესამედს (64%) გააჩნია კონტრაცეპციაზე პოტენციური მოთხოვნა (ე.ი. აქვთ კონტრაცეპციაზე დაუკმაყოფილებელი მოთხოვნა (23%) ან ამჟამად იყენებს რაიმე სახის კონტრაცეპტივს (41%)).

საქართველოში დაქორწინებული ქალების დაახლოებით 79% თავად იღებს ინფორმირებულ გადაწყვეტილებას საკუთარი სექსუალური ურთიერთობების, კონტრაცეპტივების გამოყენებისა და ჯანმრთელობის შესახებ.

ქალების გაძლიერება საკუთარი რეპროდუქციული უფლებების რეალიზებაში მჭიდროდაა დაკავშირებული განათლების უფრო მაღალ დონესთან, მაღალ ქონებრივ შესაძლებლობასთან და დასახლების ტიპთან (ქალაქი); ეს მაჩვენებელი ნაკლებადაა დაკავშირებული ასაკთან, თუ არ ჩავთვლით 15-19 წლის ქალებს.

მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა, მიქსი საქართველო 2018, საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა გლობალური მიქსის პროგრამის ფარგლებში ჩაატარა 2018 წელს გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) ტექნიკური და UNICEF-ის, NCDC-ის, USAID-ის, WB-ის, UNFPA-ს, SIDA-ს, AFD-ის, SCD-ის, ISS-ის, UNDP-ისა და WHO-ს ფინანსური მხარდაჭერით.

წინამდებარე მოკლე აღწერილობის ამოცანაა მიქსი საქართველოს 2018 წლის კვლევით დადგენილი ცალკეული ფაქტების გავრცელება, რომელიც დაკავშირებულია ოჯახის დაგეგმვასა და ინფორმირებულ/ ნებაყოფლობით გადაწყვეტილებაზე. ამ მოკლე აღწერილობის დეტალური მონაცემები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილებში: TM2.2W, TM2.3W, TM3.1, TM3.3CS, TM13.1CS, TM13.2CS, TM13.3CS და TM16.1CS.

დამატებითი სტატისტიკური მოკლე აღწერილობები და „კვლევის შედეგების ანგარიში“ ამ და სხვა კვლევებისათვის განათავსებულია შემდეგ ვებგვერდზე: [mics.unicef.org/surveys](https://mics.unicef.org/surveys).